

ფსიქოსოციალური სერვისების ეფექტურობის შეფასება

გიორგი გრიგოლია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი / ფსიქიკური ჯანმრთელობა -
სოციალური ფსიქიატრია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყონია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი გრიგოლია

26.06.2017

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ფსიქოსოციალური ცენტრის “წეროვნის” მიერ გაწეული მომსახურების ეფექტურობის შესწავლა; კვლევის ამოცანებია - მომსახურების შედეგების შესწავლა ინდივიდურ დონეზე და მომსახურების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი.

მომსახურების შედეგების ინდივიდურ დონეზე შესწავლის მიზნით შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შეირჩა 100 კლიენტი, რომლებმაც ისარგებლეს ცენტრის მიერ შეთავაზებული ინდივიდური ან/და ჯგუფური მომსახურებით.

მომსახურების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის მიზნით ინტერვიუ ჩატარდა ცენტრის თანამშრომლებს, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გამოყენებით და მომსახურების ხელმისაწვდომობის შესწავლისა და პოტენციური ბარიერების იდენტიფიკაციის მიზნით ინტერვიურება ჩატარდათ ადგილობრივი პირველადი ჯანდაცვის ექიმებს.

მომსახურების ეფექტურობის კვლევა ადასტურებს, რომ ცენტრის მიერ მიწოდებული მომსახურებები შესაბამისობაშია დევნილთა ფსიქოსოციალურ საჭიროებებთან, ხარისხიანია და ეხმარება ბენეფიციარებს შესაბამისი სირთულეების დამლევაში. გამოკითხულთა 86% სიმპტომების სიხშირისა და სიმწვავის შემცირებაზე მიუთითებს, 35% მიღებულ ცოდნასა და უნარებს რეალურ ცხოვრებაში იყენებს; გამოკითხულთა ნახევრი მიაწინებს, რომ მიღებული მომსახურება დაეხმარა ურთიერთობების გაუმჯობესებაში ოჯახის წევრებთან (55%) ან/და თანამშრომლებთან (33%), ხოლო 48% შრომისუნარიანობის გაუმჯობესებას აღწერს. ცენტრის გამოცდილების ანალიზი ადასტურებს, რომ მხოლოდ გეოგრაფიული სიახლოვე და უფასო სერვისი, ვერ უზრუნველყოფს ფსიქოსოციალური სერვისის ხელმისაწვდომობას; და საჭიროა მუდმივი, ინტენსიური საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიმართული იქნება თემის ცნობიერების ამაღლებაზე და აღნიშნული მომსახურების საჭიროების გაცნობიერებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: ფსიქოსოციალური სერვისები, ეფექტურობის შეფასება.

Abstract

The research aims to study the effectiveness of the services provided by the psychosocial center "Tserovani"; The objective of the research is to study the results of the service at an individual level and analyze the issues related to organizing the service.

On the basis of random selection, 100 clients were selected based on the individual level of service results, which had been used by the Center for Individual and / or Group Services.

In order to study the issues related to organizing the service, the interview was conducted by the staff of the Center, semi-structured interviews, and interviewed by local primary care physicians to study the availability of service and identification of potential barriers.

The service efficiency survey confirms that the services provided by the Center are in compliance with the psychosocial needs of the IDPs, the quality and help the beneficiaries in overcoming the difficulties. 86% of respondents indicate the symptom's frequency and decrease in fatigue, 35% using the knowledge and skills in real life; Half of the respondents indicate that the services have helped to improve relations with family members (55%) and / or staff (33%) and 48% improvement of workforce.

An analysis of the experience of the Center confirms that only geographical proximity and free service can not provide access to psychosocial services; And there is a continuous, intensive informational campaign that will be added to the awareness raising of the community and the understanding of the need for this service.

keywords are: psychosocial services, evaluation of efficiency.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო დახმარებაში ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს - ეკა ჭყონიას.

ნინო მახაშვილს - წეროვანში არსებული ფსიქოსოციალური ცენტრის ეფექტურობის შეფასების კვლევაში ჩართვის შესაძლებლობისთვის.

ქეთი ფილაურს, ნანა მაისაშვილს და მარიამ რაზმაძეს, პროფესიონალური პარტნიორობისათვის, რომლებთან ერთადაც ვიყავი კვლევაში ჩართული.

მადლობა „წეროვნის“ ფსიქოსოციალური ცენტრის მოხალისეებს - რუსუდან ბადრიაშვილს და ელენე ქორიძეს, რესპოდენტების მოძიებისა და მობილიზების საქმეში ფასდაუდებელი შრომისთვის.

მადლობა „წეროვნის“ ფსიქოსოციალური ცენტრის თანამშრომლებს, მკვლევარებთან დაუზარელი თანამშრომლობისთვის.

მადლობა წეროვანსა და წილკანში მცხოვრებ რესპოდენტებს, რომლებიც ჩვენი მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დაჟინებით გვაჭმევდნენ საკუთარი ეზოს მაყვალს, მალინას და ათას ეგზოტიკურობას.

მიძღვნა

ნაშრომი ეძღვნება ჯონ სერლის (John Searle) და სემ ჰარისს (Sam Harris).